საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/120 “ 7 ” ნოემბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მოსამართლე ლევან ბარდაველიძის გარდაცვალების გამო
მის ოჯახზე კომპენსაციის გაცემის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს განცხადებით მომართა ბოლნისის რაიონული სასამართლოს გარდაცვლილი მოსამართლის ლევან ბარდაველიძის მეუღლე ია უჯმაჯურიძემ და მოითხოვა მოსამართლის დაღუპვის გამო მის ოჯახზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემა.

განმცხადებლის მითითებით, 2022 წლის 26 ივლისს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლევან ბარდაველიძე ქ. თბილისში მდებარე თავისი საცხოვრებელი ბინიდან საკუთარი ავტომანქანით მიემგზავრებოდა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად, რა დროსაც, დაახლოებით 10:00 საათზე, ფონიჭალა-მარნეული-გეგუთის საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ლევან ბარდაველიძე გარდაიცვალა. განმცხადებელი მოსამართლე ლევან ბარდაველიძის დაღუპვას უკავშირებს მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას, კერძოდ, საცხოვრებელი ადგილიდან დაშორებულ სამუშაო ადგილამდე მოსამართლის მგზავრობას და სწორედ ამ დროს მომხდარ უბედურ შემთხვევას. განმცხადებელი დამატებით აღნიშნავს, რომ საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (European Court of Justice) 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე C-266/14, რომლითაც სასამართლომ, სამუშაო დროის ორგანიზების ცალკეული ასპექტების შესახებ ევროპული დირექტივის (Directive 2003/88/EC) განმარტებაზე დაყრდნობით, დაადგინა, რომ დასაქმებულებს, რომლებიც ყოველდღიურად მგზავრობენ თავიანთი ბინებიდან სამუშაო ადგილებამდე, მგზავრობის დრო ეთვლებათ სამუშაო დროში.

განცხადებას თან ერთვის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ პროკურორის დადგენილება, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. დადგენილების თანახმად, მოსამართლე ლევან ბარდაველიძე 2022 წლის 26 ივლისს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო იმავე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა, ამასთან, საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგინდა, რომ ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული და ვინაიდან დანაშაულის შედეგად გარდაცვლილ ლევან ბარდაველიძის მეუღლე ია უჯმაჯურიძეს მიადგა მორალური ზიანი, ის ცნობილ იქნა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 5 აგვისტოს №1/75 განკარგულებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული

კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლევან ბარდაველიძე გათავისუფლდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან 2022 წლის 26 ივლისიდან, გარდაცვალების გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, რაც უკავშირდება მისი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას, მოსამართლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთდროული კომპენსაცია 25 000 ლარის ოდენობით“. აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მოსამართლე ლევან ბარდაველიძის გარდაცვალების გამო მის ოჯახზე გაიცეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთდროული კომპენსაცია 25 000 ლარის ოდენობით.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული კომპენსაციის გაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი